

შპს „ტასკაბი“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის დასრულებული
წლისთვის

შინაარსი:

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
სრული შემოსავლების ანგარიშგება.....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება.....	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია.....	5
2. მომზადების საფუძველი.....	5
3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა.....	5
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები.....	5
5. ფული და ფულის ექვივალენტი.....	6
6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები.....	6
7. მარაგები.....	7
8. ძირითადი საშუალებები.....	7
9. არამატერიალური აქტივები.....	8
10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები.....	8
11. გადასახადები.....	8
12. სასესხო ვალდებულებები.....	9
13. ამონაგები რეალიზაციიდან.....	10
14. საერთო და სხვა ადმინისტრაციული ხარჯები.....	11
15. სხვა საოპერაციო შემოსავალი/ხარჯი.....	12

შპს „ტასკაბი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	31დეკემბერი 2024	31დეკემბერი 2023
აქტივები		
მიმდინარე აქტივები		
ფული და ფულის ექვივალენტები	181464	427668
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	580917	126875
გაცემული ავანსები	56430	42000
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	2590	2677
სულ მიმდინარე აქტივები	821401	599220
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	962255	718300
არამატერიალური აქტივები	9500	9500
სხვა გრძელვადიანი აქტივები	297062	21090
სულ გრძელვადიანი აქტივები	1268817	748890
სულ აქტივები	2090218	1348110
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო ვალდებულებები	47755	4331
საგადასახადო ვალდებულებები	49221	51586
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	8952	2800
გამომუშავებელი შემოსავალი	975523	1090714
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	164664	186445
სხვა ვალდებულება	7767	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1253882	1335876
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	0	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	0	0
სულ ვალდებულებები	1253882	1335876
მთლიანი კაპიტალი		
კაპიტალი		
გაუნაწილებელი მოგება	836336	12234
სულ კაპიტალი	836336	12234
სულ კაპიტალი და ვალდებულებები	2090218	1348110

შპს ტასკაბის დირექტორი: სერგო გიორგაია

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 17.09.2025 წელს

შპს „ტასკაბი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (ლარი)

	31დეკემბერი 2024	31დეკემბერი 2023
ამონაგები რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	3089450	1968450
საერთო მოგება	3089450	1968450
კომერციული ხარჯი საერთო და ადმინისტრაციული ხარჯი სხვა საოპერაციო შემოსავლები	-2255516	-1936258
საოპერაციო მოგება	833934	32192
წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ხარჯი	-9832	-19958
მოგება გადასახადით დაბეგრამდე	824102	12234
მოგების გადასახადი		
წმინდა მოგება	824102	12234
სხვა სრული შემოსავალი		
სულ წლის სრული მოგება	824102	12234

შპს ტასკაბის დირექტორი

სერგო გიორგაია

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 17.09.2025 წელს



შპს „ტასკაბი“

კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2022		-89,606		-89,606
გაცემული დივიდენდები				
კაპიტალის სხვა ცვლილება მთლიანი სრული შემოსავალი		101840		101,840
31 დეკემბერი 2023		12,234		12,234
გაცემული დივიდენდები				
კაპიტალის სხვა ცვლილება მთლიანი სრული შემოსავალი		824102		824102
31 დეკემბერი 2024		836,336		836,336

შპს ტასკაბის დირექტორი

სერგო გიორგია 

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 17.09.2025 წელს

შპს „ტასკაბი“

ფულადი ნაკადების ცვლილების ანგარიშგება
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	31დეკემბერი 2024	31დეკემბერი 2023
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	319918	392314
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	-541438	-198071
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-24684	-120653
წმინდა ზრდა ფულსა და ფულის ეკვივალენტს შორის	-246204	73590
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის დასაწყისში	427668	354078
ფული და ფულის ეკვივალენტი წლის ბოლოს	181464	427668

შპს ტასკაბის დირექტორი

სერგო გიორგაია 

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დამტკიცდა 17.09.2025 წელს

შპს „ტასკაბი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „ტასკაბი“ (შემდეგში „კომპანია“) დაფუძნებულია და მდებარეობს საქართველოში. კომპანია დაარსებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და რეგისტრირებულია როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. საგადასახადო რეგისტრაციის თარიღი არის 30/11/2018. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია ID: 406265410.

ძირითადი საქმიანობა. შპს „ტასკაბი“ მრავალპროფილური კომპანი არის, მისი საქმიანობაა: არქიტექტურული მომსახურება, დიზაინი, კონსტრუქცია, გრგ, დენდროლოგია, ტექსაცია, საგზაო მოძრაობის ორგანიზების სქემების მომზადება, გეოლოგია და სხვა დამატებითი მომსახურება. კომპანიას არ გააჩნია მეკავშირე და შვილობილი საწარმოები.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი: კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ბესარიონ ჟღენტის ქუჩა, N 8, კომერციული ფართი N1ა, სართული 1

კომპანიის მეწილე და დირექტორი: ფინანსური ანგარიშგების მომზადების თარიღისთვის, ასევე როგორც საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიის 100%-იანი მეწილე და დირექტორი არის სერგო გიორგაია

2. მომზადების და წარგენის საფუძველი.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია და დამრგვალებულია ერთეულ ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) საქართველოს კანონით „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ მესამე კატეგორიის კომპანიებისთვის დაშვებული მოდიფიკაციის გათვალისწინებით.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2024 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ერთეულ ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა: კომპანიის სამუშაო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, სადაც ის ოპერირებს. კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა, ქართული ლარი (“GEL”). ფინანსური ანგარიშგება წარდგენილია ქართულ ლარში (“GEL”), რომელიც კომპანიის წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს დაკონვერტირებულია ლარში შესაბამისი თარიღის კურსით. უცხოური ვალუტით ოპერაციები აღირიცხება ოპერაციის თარიღის შესაბამისი კურსით. უცხოური ვალუტის მოგება და ზარალი წარდგენილია მოგება ან ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგებაში “წმინდა შემოსავალი/(ხარჯი) საკურსო სხვაობიდან” მუხლში. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული კურსები 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით იყო აშშ დოლარი (“USD”) 1 = 2.8068. ლარი (31 დეკემბერი 2023: USD 1 = 2.6894 ლარი.); ევრო („EUR”) 1 = 2.9306 (31 დეკემბერი 2022: EUR 1 = 2.9753 ლარი.)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია გარიგების ფასით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გაუფასურების ანარიცხის გამოკლებით. კომპანიას არ გააჩნია საექვო ვალები. საექვო და უიმედო ვალების რეზერვი არ არსებობს კომპანიაში, ვინაიდან არასდროს არსებულა ობიექტური საფუძველი, რომ კომპანია ვერ შეძლებდა მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო შეწონილი მეთოდით.

ძირითადი საშუალებები:

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებულია აქტივის საბალანსო რეზერვების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მისცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ისარის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო

მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად

ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობა-ნაგებობა	360 თვე
ავტომობილები	180-240 თვე
ოფისის აღჭურვილობა	60 თვე
ავეჯი და სხვა ინვენტარი	60 თვე

არამატერიალური აქტივები.

• **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

• **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე.

სავაჭრო ვალდებულებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადასახადები. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები

არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია მომავალი გადახდების დისკონტირებული ღირებულებით, შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

საკუთარი კაპიტალი. კომპანიის საწესდებო კაპიტალის ოდენობა კომპანიის წესდებით განისაზღვრება. კომპანიის წესდებაში ცვლილებების შეტანა მხოლოდ კომპანიის მესაკუთრეების გადაწყვეტილებით ხდება.

შემოსავლის აღიარება. ამონაგები საქონლის/მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი/მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების აღიარება ხდება რეალური ღირებულებით დაბრუნებების, ფასდათმობებისა და

რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება–ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას. ხელფასები ექვემდებარება დარიცხვის იმავე პერიოდში რომელშიც თანამშრომლების მიერ შესაბამისი მომსახურება იქნა გაწეული.

დივიდენდები. დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და იქვითება კაპიტალიდან იმ პერიოდში, როდესაც ხდება მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, რომელიც ცხადდება საანგარიშგებო პერიოდის დასრულების შემდეგ და მანამ, სანამ მოხდება ფინანსური ანგარიშგების გამოშვებაზე გადაწყვეტილების მიღება, აღიარებულია ბალანსის შემდგომი მოვლენების შენიშვნაში

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშოპერიოდში და ძირითადად იწახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულიარაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

საგადასახადო კანონმდებლობა. მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე

5. ფულადი სახსრები და მისი ექვივალენტები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	181464	427668
ფული საღარიბოში ეროვნულ ვალუტაში		
სულ ფული და ფულს ექვივალენტი	181464	427668

6. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	580917	126875
გადახდილი ავანსები და გაცემული სესხები	56430	42000
სულ ფული და ფულს ექვივალენტი	637347	168875

7. მარაგები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
მარაგები	2590	2677
სულ ფული და ფულს ექვივალენტი	2590	2677

8. ძირითადი საშუალებები

	შენიშვნა	ავტომობილები	ოფისის აღჭურვილობა	ავეჯი და სხვა ინვენტარი	სულ
ნაშთი 01.01.2024	402553	224707	77055	13985	718300
შემოსვლა	268010	0	8690	1040	277740
გასვლა					0
დარიცხული ცვეთა	-8739	-10325	-12221	-2500	-33785
ნაშთი 31.12.2023	661824	214382	73524	12525	962255

9. არამატერიალური აქტივები

კომპანიას აქვს არამატერიალური აქტივის სახით ვებ-საიტი, რომელიც შეიქმნა 2024 წელს, მისი ღირებულება შეადგენს 9500 ლარს.

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
სავაჭრო ვალდებულებები	47755	4331
ვალდებულება თანამშრომელთა მიმართ	8952	2800
საგადასახადო ვალდებულებები	49221	51586
მიღებული ავანსი	975523	1090714
მოკლევადიანი ნასესხები სახსრები	164664	186445
სხვა ვალდებულება	7767	
სულ	1253882	1335876

12. სასესხო ვალდებულება

	საპროცენტო განაკვეთი	კონტრაქტის ნომერი	31.12.2024	31.12.2023
			USD/GEL	USD/GEL
სესხი სს „თიბისი“ ბანკისგან აღებული	6.50%	# 6669560- 12295850	\$0.00	\$67,220
დამფუძნებლისგან აღებული სესხი	0.00%		164,664GEL	5663 GEL
სულ ეროვნულ ვალუტაში აღებული სესხი-GEL			164664	186445

შენიშვნა: 2024 წლის 28 სექტემბრის ჩათვლით კომპანიამ სრულად დაფარა სს „თიბისი“ ბანკისგან აღებული სესხი

13. ამონაგები რეალიზაციიდან

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
ნეტო ამონაგები	3089450	1968450
სულ	3089450	1968450

2.14 ხარჯი

	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შრომის ანაზღაურება	1024340	679361
ცვეთა და ამორტიზაცია	33785	28507
იჯარის ხარჯი	22963	18553
საპროცენტო ხარჯი	2903	15115
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	1156525	1044357
სულ	2240516	1785893

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია ხელმძღვანელობის მიერ 2025 წლის 17 სექტემბერს

შპს „ტასაჰაბის“ დირექტორი

სერგო გიორგაია

